



საერთაშორისო ოლიმპიადა მათემატიკაში

მე-3 კლასი

- {4ქ} დღეს კვირაა და 24 დეკემბერია. ამავე წლის ჩამოთვლილი თარიღებიდან კიდევ რა რიცხვია კვირა დღე?
 ა) 12 დეკემბერი ბ) 31 დეკემბერი გ) 30 დეკემბერი დ) 18 დეკემბერი ე) 19 დეკემბერი
- {3ქ} სამნიშნა რიცხვის ჩანაწერში ათეულების ციფრი ორჯერ მეტია ასეულების ციფრზე, ხოლო ასეულების ციფრი ორჯერ მეტია ერთეულების ციფრზე. ჩამოთვლილებიდან რომელი შეიძლება იყოს ეს რიცხვი?
 ა) 124 ბ) 842 გ) 482 დ) 241 ე) 361
- {1ქ} სურათზე მოცემული ოთხი ფიგურიდან რომელი იკავებს ყველაზე დიდ ადგილს?



- ა) A ბ) B გ) C დ) D ე) არც ერთი
- {6ქ} სურათის მიხედვით იპოვეთ რომელი რიცხვია მოთავსებული ოთხივე წრის შიგნით?



- ა) 16 ბ) 11 გ) 26 დ) 23 ე) 8
- {2ქ} ჩამოთვლილებიდან რომელია რომაული ციფრი?
 ა) 127 ბ) V გ) 3 დ) Ω ე) არც ერთი
 - {5ქ} სურათის მიხედვით დათვალეთ რამდენი ჩიტია ხეზე:



- ა) 9 ბ) 16 გ) 10 დ) 8 ე) 7
- {1ქ} როგორ უნდა გამოვთვალოთ მართკუთხედის პერიმეტრი?
 ა) გავამრავლოთ ყველა გვერდის სიგრძე ერთმანეთზე ბ) სიგრძე გავამრავლოთ სიგანეზე
 გ) სიგრძეს დავუმატოთ სიგანე დ) სიგრძეს გამოვაკლოთ სიგანე
 ე) შევკრიბოთ ყველა გვერდის სიგრძე
 - {4ქ} რა განსხვავებაა მართკუთხედსა და კვადრატს შორის?
 ა) მართკუთხედს სამი კუთხე აქვს, კვადრატს კი ოთხი
 ბ) კვადრატს ყველა გვერდი ტოლი აქვს, მართკუთხედს კი შეიძლება არ ჰქონდეს
 გ) კვადრატი ყოველთვის უფრო დიდია, ვიდრე მართკუთხედი
 დ) კვადრატი ყოველთვის უფრო პატარაა, ვიდრე მართკუთხედი
 ე) მათ შორის განსხვავება არ არის
 - {5ქ} როგორ ლაგდება რიცხვთა ღერძზე რიცხვები მარცხნიდან მარჯვნივ?
 ა) კლებადობით ბ) ზრდადობით გ) არეულად დ) გააჩნია რიცხვთა ღერძს ე) ჯგუფებად
 - {3ქ} გამოსახულებაში: $17+83 = 100$ რომელია მეორე შესაკრები?
 ა) 17 ბ) 83 გ) 100 დ) 38 ე) არც ერთი
 - {2ქ} ლელას თავის აივანზე სამ ქოთანში ცალ-ცალკე აქვს დარგული ალოე, ლავანდა და ორქიდეა. თუმცა მან ეს სახელები შეცდომით მიაწერა ქოთნებს და ისე გამოვიდა, რომ არც ერთ ქოთანს მასში დარგული მცენარის სახელი არ აწერია. ჩამოთვლილებიდან, რა შეიძლება ეწეროს ორქიდეას ქოთანს?
 ა) გვირილა ბ) ორქიდეა გ) ლავანდა დ) ვარდი ე) არც ერთი

